საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/2

18 იანვარი, 2013 წ. ქ.ბათუმი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეიტინგული და საბოლოო გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგის განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეიტინგულებისა და გამოცდების მიმდინარეობის ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის აუდიტორიებში და გამოცდებისა და უნარ-ჩევევების შეფასების ცენტრში გამოყენებული იქნეს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, აუდიო ჩაწერის გარეშე.

2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ვიდეო-მონიტორინგი განახორციელოს რექტორმა (საჭიროებისამებრ), რექტორის მოადგილემ, ბსუ-ს და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლებმა, ფაკულტეტების დეკანებმა, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურის უფროსებმა.

3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ” ბსუ–ს რექტორის 2012 წლის 25 აპრილის №01–08/15 ბრძანება.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი, სრული პროფესორი *ა. ბაკურიძე*